

ინკლუზიურ სწავლებაში ჩართული აუტისტური სპექტრის აშლილობის
მქონე ბავშვების და სხვა დაწესებულებების ბენეფიციარების სოციალური
უნარების განვითარება

ია შუბლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2011

აბსტრაქტი

ბოლო წლებში საკმაოდ იმატა ბავშვებში აუტისტური სპექტრის აშლილობების შემთხვევებმა. აღნიშნული დაავადების ძირითადი მახასიათებლებია კომუნიკაციისა და სოციალიზაციის სირთულეები, რომელიც თითოეულ ბავშვში სხვადასხვა სირთულით ვლინდება.

კვლევა მოიცავს აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების სოციალური უნარების განვითარებას ინკლუზიურ კლასებსა და სხვა სპეციალიზირებულ დაწესებულებებში. ვაწარმოებდი დაკვირვებებს სოციალური უნარებსა და კომუნიკაციაზე, როგორც ინკლუზიურ კლასებში, ასევე დღის ცენტრსა და N200 საჯარო სკოლაში, სადაც დღედღობით მხოლოდ სსსმ მოსწავლეები ირიცხებიან. ასევე ჩავატარე ინტერვიუ აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან მომუშავე ფსიქოლოგებთან და მასწავლებლებთან. შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით გამოვყავი კრიტერიუმები, რომლის მეშვეობითაც ამ ბავშვებთან მომუშავე მასწავლებლებს ვთხოვე შეეფასებინათ ბავშვების სოციალური უნარ-ჩვევები 4 ბალიანი სკალის გამოყენებით.

დაკვირვების, კითხვარების შედეგებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ზოგადი ტენდენცია, რომ ინკლუზიურ კლასებში სოციალური უნარები შედარებით უკეთ ვითარდება, ვიდრე სპეციალურ დაწესებულებაში, სადაც ვერ ხერხდება კონტაქტი ნორმად მიღებული განვითარების მქონე ბავშვებთან.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ინკლუზიური განათლების პროგრამა დადებითად მოქმედებს აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებში სოციალური უნარების განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ საზოგადოებაში ადაპტაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: აუტისტური სპექტრის აშლილობა, აუტიზმი, ინკლუზიური განათლება, სოციალური უნარები.